

AN OLD LAYER OF GEOGRAPHICAL NAMES FROM SPER

გეოგრაფიულ სახელთა ძველი ფენა სპერიდან¹

Mamia Paghava

Doctor of philological Sciences,
 Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
 Batumi, Rustaveli/Ninoshvili st. #32/35, Georgia,
 +995 599 380 626, mamia.paghava@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-0884-1493>

Abstract. Sper (with Bayburt and Basiani, otherwise, Sper in a broad sense) is a historical Georgian country (Iv. Javakhishvili, S. Janashia, P. Ingorokva). Historical research shows that Sper was cultivated at the headwaters of the Chorokhi and Mtkvari rivers and was divided into three: Upper Sper, Middle Sper and Lower Sper. The aboriginal population of the country was Georgians (Iberians) and Lazi. The geographical name Sper must have been formed in a foreign linguistic world and is a transliteration of the Georgian Iberi.

Of the Georgian provinces, Sper was the first to come under Ottoman rule (1514). The process of assimilation of the country has been ongoing for more than five centuries. Today, the old population of Sper has been assimilated, they have forgotten the language of their ancestors, and the old, Georgian geographical names of Sper have been officially replaced with new, Turkish ones (1959). Despite the oppressive process of assimilation, the land of Sper bears a “Georgian trace”. In general, the land is assimilated the last. It preserves reliable information about the people living here... We note that others are calling Sper, declaring it the heritage of their ancestors, “pressing” on geographical names and changing them. The collection and study of Sper’s toponymy is a way that will allow us to answer many questions.

This study analyzes more than 30 geographical names, selected from a map edited by Iv. Javakhishvili (1903). It is important that all geographical names are Georgian, which is another proof that Sper is a Georgian country.

Keywords: Toponym, Affix, Tao, Dialect, Sper, Klarjeti, Shavsheti.

მამია ფაღავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
 ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა #32/35, საქართველო
 +995 599 380 626, mamia.paghava@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-0884-1493>

აბსტრაქტი. სპერი (ბაიბურთითა და ბასიანით, სხვაგვარად, სპერი ფართო მნიშვნელობით) ისტორიული ქართული ქვეყანაა (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა). საისტორიო კვლევებით დგინდება, რომ სპერი ჭოროხისა და მტკვრის სათავეებში იყო გაშენებული და იგი სამად იყოფოდა: ზემო სპერი, შუა სპერი და ქვემო

¹ ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის - „სპერი - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-6916) (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში.

სპერი. ქვეყნის აბორიგენ მოსახლეობას წარმოადგენდნენ ქართველები (იბერები) და ლაზები. გეოგრაფიული სახელი სპერი ჩამოყალიბებული უნდა იყოს უცხო ენობრივ სამყაროში და ქართული იბერის ტრანსლიტერაციას წარმოადგენს.

ქართულ პროვინციათაგან სპერი ყველაზე ადრე გადავიდა ოსმალთა მმართველობაში (1514 წელი). ხუთ საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს ქვეყნის ასიმილაციის პროცესი. დღეისათვის სპერის ძველი მოსახლეობა ასიმილირებულია, მათ დაივიწყეს წინაპართა ენა, ოფიციალურად შეიცვალა სპერის ძველი, ქართული გეოგრაფიული სახელები ახლით, თურქულით (1959 წელი). მიუხედავად ასიმილაციის დამთრგუნველი პროცესისა, სპერის მიწას ატყვია „ქართული კვალი“. საერთოდ, მიწა ყველაზე გვიან ასიმილირდება, იგი ინახავს უტყუარ ცნობებს აქ მოსახლე ხალხის შესახებ... აღვნიშნავთ, რომ სპერს სხვები ჩემულობენ, მათი წინაპრების სამკვიდროდ აცხადებენ, „ზეწოლას“ ახდენენ გეოგრაფიულ სახელებზე. სპერის ტოპონიმის შეკრება და შესწავლა გზაა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, პასუხი გავცეთ მრავალ კითხვას.

წინამდებარე ნაკვლევაში გაანალიზებულია 30-ზე მეტი გეოგრაფიული სახელი, რომელიც ამოკრებილია ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემული რუკიდან (1903 წელი). მნიშვნელოვანია, რომ ყველა გეოგრაფიული სახელი ქართულია, რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ სპერი ქართული ქვეყანაა.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, აფიქსი, ტაო, დიალექტი, სპერი, კლარჯეთი, შავშეთი.

შესავალი. სპერის სამ ათეულზე მეტი გეოგრაფიული სახელი დატანილია ივანე ჯავახიშვილისეულ ძველი საქართველოს რუკაზე (1903 წელი). მასალა უაღრესად საინტერესოა ისტორიული სამხრეთ საქართველოს, უფრო კი ჭოროხის ზემო წელის ონომასტიკის საკვლევად. ერთ ფაქტს მივაქცევ ყურადღებას: შემდგენელი ჩვენთვის უცნობი წყაროთი სარგებლობდა, როდესაც წინამდებარე რუკას ადგენდა. თანამედროვე მკვლევრისათვის ფასდაუდებელი იქნება წყარო, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობოდა. აღვნიშნავთ, რომ სპერი ბასიანთა და ბაიბურთით არაა დატანილი „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“. სპეციალურად შევისწავლეთ დ. პაგირევის შრომა (Пагирев, 1913). ჩანს, არსებობდა ჩანაწერები, რომლებშიც აღწერილი იყო ჭოროხისა და მტკვრის სათავეები - სპერი, ბასიანი, ბაიბურთი, მიმდებარე მიწებიც...

ქვემოთ ვიმსჯელებთ გეოგრაფიულ სახელებზე, რომლებიც დატანილია ხსენებულ რუკაზე. წინასწარ ვიტყვი, რომ გეოგრაფიული სახელები ქართულია, რაც დასტურია იმისა, რომ სპერი ქართული ქვეყანაა. ჩვენი კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს პავლე ინგოროყვასა (ინგოროყვა, 1954) და სიმონ ჯანაშიას (ჯანაშია, 1952; 1988) ადრე გამოთქმული მოსაზრებებს, რომ სპერი, ბასიანი და ბაიბურთი (სპერი ფართო მნიშვნელობით) ისტორიულად ქართული ქვეყნები იყო. ეს ინფორმაცია სპერის მიწასაც შეუწახვას.

მეთოდები: კვლევისას გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ შედარებითი მეთოდი.

შედეგები: კვლევამ გვიჩვენა, რომ სპერის (ფართო მნიშვნელობით) ტოპონიმის ძველი ფენა ქართული ან კოლხურია, სხვაგვარად - ქართველურია. სახელის ფუძისქმნადობა გვიყვება ქართული სიტყვაწარმოების პრინციპებს და ხელშესახებ სიახლოვეს ამჟღავნებს სპერის მეზობელი ჭოროხის ქვეყნების (ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა) ტოპონიმისთან, რაც არაა მოულოდნელი. ჭოროხის ხეობა ხომ ისტორიულად ერთიანი კულტურული სივრცეა... სპერის ტოპონიმიაში მკვლევარი შენიშნავს ზოგიერთ

ლინგვისტურ თავისებურებას, სპერული დიალექტისათვის რომ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. დასაწანია, რომ დღეს არ გვაქვს საშუალება, ვისაუბროთ სპერულ დიალექტზე და მხოლოდ მის „ნამსხვრევებზე“ გვიხდება საუბარი.

ოცდაათზე მეტი გეოგრაფიული სახელი გავანალიზეთ შრომაში. სიტყვაწარმოების თვალსაზრისით გამოვლინდა:

უაფიქსო, ოდენსუფიქსური და კომპოზიციის გზით მიღებული სახელები. კომპოზიტთაგან ყურადღებას იქცევს **შენ**, **კარ** ფუძიანი ტოპონიმები, ერთი გეოგრაფიული სახელი დადასტურდა **მე** ელემენტით (ნახიძე).

სახელების თვალსაზრისით სპერის ძველი ტოპონიმები სიახლოვეს ავლენენ საერთო ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურასთან.

სპერის გეოგრაფიული სახელების სტრუქტურული და ლექსიკური ანალიზი კიდევ ერთი დასტურია, რომ სპერი ქართული ქვეყანაა.

მსჯელობა. მივყვეთ მოვლენებს:

ჭალა გავრცელებული სახელია ქართულში. აჭარულში იგი აღნიშნავს: 1. ვაკე ადგილი წყლის პირას; 2. სათიბი, სათიბ-სადოვარი (ნიჭარაძე, 1971).

შევნიშნავთ: **ჭალა** იცის ზემოაჭარულმა, უცხოა ქვემოაჭარულისა და ქობულეთურისათვის. ორთაბათუმში გაიგონებთ სიტყვათმეხამებას „ჭალი ქვა“ - ჭალიდან მოტანილი ქვის აღსანიშნავად, იგივეა, რაც ჭალანგარი (ქეგლ) და ლაზური **ქვანჭალა**, - პატარა მრგვალი ქვა“ (თანდილაძე, 2013). ორთაბათუმში „ჭალი ქვის“ არსებობა გვავარაუდებინებს, რომ ქვემოაჭარულსაც უნდა ცოდნოდა **ჭალა**.

ჭალა განმარტებული აქვს სულხან-საბას: „წყლის პირი ნაყოფიერი“ (ორბელიანი, 1949). რედაქციებში (C) სხვა მნიშვნელობაც დასტურდება: „წყლის პირი ტყიანი (ორბელიანი, 2024). აქვე აღვნიშნავთ, რომ სულხან-საბა ლექსიკონში შეიტანს ჭალაკს და განმარტავს: „კუნძული, გინა ჭალა“, უთითებს: ესაია, 23,2 (ორბელიანი, 2024).

ძველ ქართულში **ჭალა** ტყეს აღნიშნავს (აბულაძე, 1973).

ჭალა განმარტებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (იხ. ქეგლ).

მეგრულში იხმარება **ჭალე**, განმარტებულია, როგორც „მერე, წყლისპირა დაბლობი, ნოყიერი მიწა“ (ქობალია, 2010).

სვანურში **ჭალაჲ** აღნიშნავს მდინარეს (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) და „მდინარის პირა მინდორს“ (ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში) (თოფურია, ქალდანი, 2000).

მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს **ჭალის** მნიშვნელობაცა და ისიც, რომ იგი გავრცელებული სიტყვაა ქართველურ ენებში.

იგივე სემანტიკა უნდა ჰქონოდა **ჭალას** სპერულ დიალექტშიც.

ჭალა ქართული გეოგრაფიული სახელია.

მუხურშენი სეგმენტირდება: **მუხურ-შენ**’ი.

-**შენ**’ ფუძიანი გეოგრაფიული სახელები მრავალია საქართველოში, შედარებით ნაკლებად, მაგრამ გვხვდება ჭოროხის ხეობაშიც.

მუხურ’ში გამოიყოფა -**ურ** სუფიქსი: **მუხ-ურ**’ი, იგივე მაწარმოებელი, რაც ტოპონიმებში **მახინჯა-ურ**’ი, **სალიბა-ურ**’ი, **თოდოგა-ურ**’ი...

მუხ[ა] საკუთარი სახელია, დაუცავს გვარს **მუხაძე**.

მუხა’ გამოიყოფა ანთროპონიმში **მუხია**, დაუცავს გვარს **მუხიაშვილი**.

ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება სახელი **მუხურა**, **მუხულა** (ღლონტი, 1986).

მუხურშენი < ***მუხურაშენი**’საგან.

რუკაზე დატანილია გეოგრაფიული პუნქტი **მუხურგული**.

მუხურგული // **მუხულგული** სეგმენტირდება: **მუხურ-გულ**’ი.

დასტურდება ანთროპონიმები: **მუხულა**, **მუხურა**, **მუხიგული**, **მუხიგულა**.

მუხიგული>**მუხურგულ**’ს უ - ი>უ - უ პროგრესული ასიმილაციით.

ჩანს, ანთროპონიმი დაედო საფუძვლად ტოპონიმს.

ნახიძე ადგილი სპერში.

ნახიძე სეგმენტირდება: **ნახი**[ს] - ძე.

ძე’ კომპონენტური ტოპონიმი **ნახიძე**. მსგავსი გეოგრაფიული სახელები გვხვდება ჭოროხის ხეობაში:

ტაო: **ჩიტაზე**<**ჩიტაძე**, **კილაზე**<**კილაძე**, **გუნგუზე**<**გუნგუძე**... (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024: 197).

აჭარა: იაკობაძეები, გოგაძეები, გუნდაძეები...

შევნიშნავთ: აჭარაში ტოპონიმადქცეული გვარი უმეტესად მრავლობითშია, ტაოში - მხოლოდითში.

მხოლოდითში დგას სპერში დადასტურებული გვარი-ტოპონიმი **ნახიძე**. ტაოს მსგავსი მდგომარეობაა სპერში.

ნახო, **ნახუტა** საკუთარი სახელი ჩანს ქართულ კულტურაში (ღლონტი, 1986). **ნახო**, **ნახუტა** **ნახის** მოფერებითი ფორმებია, მსგავსი შემთხვევები მრავლად დასტურდება: **ნანა**>**ნანო**, **ინდირა**>**ინდო**, **გულნარა**>**გულო**...

ნახიძე ტოპონიმადქცეული გვარია. სახელდებისას გვარის ადგილის ნიშნად შერჩევის ტრადიცია სპერშიც გრძელდება.

კურკაშენი დაიშლება: **კურკა**-**შენ**’ი.

კურკა’ მეტსახელია კაცისა, გავრცელებულია საქართველოში (ღლონტი, 1986). გრიგოლ ორბელიანის მეტსახელი იყო **კურკა**, **კურკა მელექსეს** ეძახდნენ.

შენ’ ფუძიანი ტოპონიმები გვხვდება ტაოში (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024: 210), საქართველოს სხვა კუთხეებშიც, ჩანს სპერშიც. ადგილის სახელდების ქართული ტრადიცია ფიქსირდება სპერის ქვეყანაშიც, რაც მნიშვნელოვანია.

ხიშნა სეგმენტირდება: **ხიშნ**-ა.

-ა ცნობილი სუფიქსია გეოგრაფიულ სახელებში, გამოხატავს ქონებას, მსგავსებას, თვისებას (ზურაბიშვილი, 1961: 151).

საძიებელია **ხიშნ**’ სახელური ფუძის მნიშვნელობა.

ლაზურში იხმარება **ხიშილ**’ი მცირე მიწის მნიშვნელობით (თანდილავა, 2013). იქნებ **ხიშნ**<**ხიშინ**<**ხიშილ**’ისაგან. -ა’ს დართვის შემდეგ ფუძე შეიკუმშა და **ხიშინა**>**ხიშნა**.

ხიშნა<**ხიშინა** მცირემიწიან ადგილს უნდა ნიშნავდეს.

დაბა ცნობილი ფუძეა ქართულში.

დაბა - „მომცრო ქალაქი მოზღუდვილი“ (ორბელიანი, 1949).

დაბა - „აგარაკი“, სოფელი, ყანა“ (აბულაძე, 1973).

დაბა - სოფელია შავშეთში (Пагирев, 1913).

რუკაზეც **დაბა** სოფლის მნიშვნელობით უნდა იყოს დატანილი.

ბაღჩა - გეოგრაფიული პუნქტი სპერში.

ბაღჩა, **ბახჩა** სპარსულია, ნიშნავს „სახლთან ახლოს მდებარე მიწა, განოყივრებული, გაპატივებული. ზოგან სიმიწის თესვენ, ზოგან კი ბაღ-ბოსტნეულია მოშენებული“, - განმარტავს შოთა ნიჟარაძე (ნიჟარაძე, 1971).

სპარსულიდან ნასესხები საზოგადო სახელი, **ბაღჩა**, ადგილის სახელად ქცეულა. საქართველოში სხვაგანაც დასტურდება **ბაღჩა** ტოპონიმად, უფრო მრავლობითის ფორმით (ბაღჩები).

სუსუთი - დასახლებული პუნქტი სპერში.

სუსუთი დაიშლება: **სუს-უთ**’ი.

-**უთ**’ ცნობილი სუფიქსია ქართულში, რომელიც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება ქართული გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად (იხ. ზურაბიშვილი, 1961:61). შეზღუდულად ჩანს ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაშიც (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024:203).

უცნობია **სუს**’ სახელური ფუძის მნიშვნელობა.

შესაძლებელია ერთი ვარაუდის დაშვება:

სუს’ ინგილოურში მცენარის სახელწოდებაა, - დათვის კანაფი (მაყაშვილი, 1991).

სუს’ი ქიზიყურში ნიშნავს მოდგმა ჯიში, გვარი (ღლონტი, 1984).

საანალიზო ტოპონიმი შესაძლებელია, დაუკავშირდეს **სუს**’ის ინგილოურ ან ქიზიყურ მნიშვნელობას (ვფიქრობთ, უფრო ინგილოურს დაუკავშირდება).

მიუხედავად ყველაფრისა, მიგვაჩნია, რომ **სუსუთი** ქართული გეოგრაფიული სახელია.

სუსხი ადგილი სპერში.

სუსხი „მცირედ დაზრობა“ - განმარტავს სულხან-საბა (ორბელიანი, 1949).

სუსხვა დაჭინჭვრასაც ნიშნავს ტაოურში, ჭინჭარს კი **სუსხვაი** ქვია (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024: 481).

საანალიზო ტოპონიმი, **სუსხი** - ადგილია, სადაც სუსხავს.

ჯანკარი კარ’ფუძიანი ტოპონიმია. ანალოგიური წარმოების გეოგრაფიული სახელები ბევრია სპერის მოსაზღვრე ტაოში, ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც (ფაღავა, 2014).

ჯანა ანთროპონიმია (ღლონტი, 1986), დაცულია გვარში **ჯანაშვილი**, **ჯანაშია**, **ჯანაძე**...

ჯანკარი **ჯანა**’ს კარია.

ვანკარი სეგმენტირდება: **ვან-კარ**’ი.

ვან’ი ანთროპონიმია (ღლონტი, 1986), დაუცავს გვარს **ვანიშვილი**, **ვანაძე**.

ვანკარი **ვან**’ის, **ვანა**’ს კარია, ეზოა.

შეიძლება სხვა ვარაუდიც: **ვანკარი** **ვან**ის (აქ: სადგომი - ორბელიანი, 1949) კარია.

ჯანკარი და **ვანკარი** ქართული ტოპონიმებია.

გორგორი<**გორგოლი**’საგან, ეს უკანასკნელი ანთროპონიმია. გვხვდება მისი მოფერებითი ფორმა **გორგო**’ (იხ. ღლონტი, 1986).

გორგო ტოპონიმადქცეული ანთროპონიმია.

კოპლათი<**კოპალათი**’საგან.

კოპლათი//**კოპალათი** სეგმენტირდება: **კოპლა-თ**’ი//**კოპალა-თ**’ი.

თ’ ქართული გეოგრაფიული სახელების ცნობილი მაწარმოებელია.

ადამიანის საკუთარ სახელად ჩანს ორივე ფორმა:

კოპლა’ დაუცავს გვარს **კოპლატაძე**.

კოპალა’ დაუცავს გვარს **კოპალ[ა]ეიშვილი**.

კოპლათი//**კოპალათი** **კოპლას**//**კოპალას** კუთვნილია.

კოპლათი ქართული გეოგრაფიული სახელია.

ტირასთი ადგილი სპერის ქვეყანაში.

ტირასთი დაიყოფა: ტირა-ს-თ'ი.

ტირა, ტირო, ანთროპონიმია კოლხურ სინამდვილეში (დლონტი, 1986).

ტირასთი ტირას კუთვნილია.

ქოფაისი დაიყოფა: ქოფა-ის'ი.

-ის სუფიქსი გამოიყოფა არაერთ გეოგრაფიულ სახელში.

ქოფა<*ქორფა'საგან რ'ს დაკარგვით.

აღვნიშნავთ, რომ რ'ს დაკარგვა გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა სამხრულ კილოებში და საერთოდ, ქართველურ ენებში (იხ. ქავთარაძე, 1964: 134-138; ფაღავა, 2002:189-199). ჩანს, დამახასიათებელი იყო იგი სპერული დიალექტისთვისაც.

ქოფაისი ქოფა'ს საკუთრებაა.

ქოფაის'ი ქართული გეოგრაფიული სახელია.

ჩიკუთი დაიყოფა: ჩიკ-უთ'ი.

შესაძლებელია, შეგვხვდეს პარალელური ფორმა ჩიკოთი (ჩიკ-ოთ'ი).

-უთ და -ოთ სუფიქსები მონაცვლეობენ ხოლმე.

საძიებელია ჩიკ' სახელური ფუძის მნიშვნელობა.

ჩიკ' ჩანს სახელში ჩიკორ'ი, - „ქვის დიდი გუნდა“ - განმარტავს სულხან-საბა (ორბელიანი, 1949).

ჩიკა, ჩიკვა, ჩიკია, ჩიკლია, ჩიკო ანთროპონიმებია ქართულ კულტურაში (დლონტი, 1986).

იქნებ, საანალიზო გეოგრაფიული სახელი დაუკავშირდეს რომელიმე მათგანს.

ჩვენი აზრით, ჩიკუთი//ჩიკოთი ადგილია, სადაც ქვებია, „ქვის ... გუნდებია“.

ყველა შემთხვევაში ჩიკუთი//ჩიკოთი ქართული ტოპონიმია, წარმოებით მაინც.

ხოგა (ხოგ-ა) -ა' სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია.

ხიგა<*ხორგ'საგან რ'ს დაკარგვით.

ხორგი დასტურდება ლაზურში, ქართულად „დიდ ქვას“ ნიშნავს (თანდილავა, 2013).

საყურადღებო ჩანს ხორგა'ს მნიშვნელობა მეგრულში: „ხერგი, გორა, მაგარი საგნების (ქვების, ხეების) ზედახორა, გროვა, ყორე...“ (ქობალია, 2010).

ქვემოაჭარულში გვხვდება სახელზმნა ჩახორგილი, ჩახორგვა, იმავე მნიშვნელობით, რაც მეგრულში, - ქვების, ხეების... დაყრა, ჩაყრა (თხრილში, არხში...).

ტოპონიმი ხოგა<*ხორგა მნიშვნელობით იგივეა, რაც მეგრული ხორგა, ქვემოაჭარული ჩახორგვა, ჩახორგილი.

ჩალოვანი დაიყოფა: ჩალ-ოვან'ი.

-ოვან რთული სუფიქსია, მიღებულია -ოვ და -ან სუფიქსების შერწყმით. გეოგრაფიულ სახელებში -ოვან ფუნქციით -იან'ის ბადალია.

ჩალოვანი იგივეა, რაც ჩალიანი.

ჩალას შეიტანს ლექსიკონში სულხან-საბა, თუმცა არ განმარტავს (იხ. ორბელიანი, 1949; 2024).

დავით ჩუბინაშვილი განმარტავს: „ს. ზრო, ღერო მოსავალთა“ (ჩუბინაშვილი, 1984), უთითებს „ვეფხისტყაოსანს“.

პოემაში ჩალა პირდაპირი მნიშვნელობით ერთხელაა ნახმარი: „ჩალა მაქვს და ნაბადია“ (304,4. სიმფონია, 1956).

ქეგლში ვკითხულობთ: „ჩალა 1. სიმინდის, ღომის, ბრინჯისა და მისთ. ღერო და ფოთლები, მეტწილად ხმელი... 2. ჭაობის ან წყლის ნაპირის მაღალი ბალახია, მეტწილად ერთლებნიანთა კლასისა... 3. კუთხ. იგივე, რაც *კაპრაში...“ (ქეგლ).

*კაპრაშ სახელური ფუძე გამოიყოფა ტოპონიმში კაპრეშუმ (<*კაპრაშუმ ა - ა>ა - ე დისიმილაციით) (იხ. ფაღავა, 2009).

ჩალოვანი (ჩალიანი) ის ადგილია, სადაც ჩაალაა.

ჩალოვანი ქართული გეოგრაფიული სახელია.

ღართა, ადგილი ბაიბურთში.

გურულსა და აჭარულში დასტურდება **ღარდა**, „წყლის და ღვარის მიერ გათხრილი ორმო... ნაპრაღი, ღარი, ხრამი, დაღარული, დახრამული, დანაპრაღებული“ (ღლონტი, 1984. შდრ. ღარდა, ღარდო: სიგრძლივ გაჭრილი ან ბუნებრივი ორმო, თხრილი, ხანდაკი; ღრმა ხრამი, ძნელად მისადგომი ადგილი. ნიჟარაძე, 1971. შდრ.: შარაშიძე, 1938; ჭყონია, 1910; ალავეძე, 1955).

ღართა (//**ღართა**) დაღარული, დახრამული ადგილი უნდა იყოს.

ბალასორი, ადგილი ბაიბურთში.

ბალასორი დაიყოფა: **ბალა-სორ**’ი.

სორ (//**მორ**) სომხურია, ქართული **ხევის**, **ხეობის** ბადალი.

ბალა’ ანთროპონიმია, გავრცელებული სამხრეთ საქართველოში, გვხვდება „ტბეთის სულთა მატთანში“ (მატიანე, 1977:143), ჩანს მეტსახელადაც (**ბალა**’ ორთაბათუმის თემში ერთი მამაკაცის მეტსახელი იყო), დაუცავს გვარს **ბალაძე** <***ბალასძე**.

ადგილის სახელი **ბალაზელარ** (შდრ.: ბალაძეები) გვხვდება უტავში (ტაო. იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024:422).

ბალათი გურნათელის უბანია შავშეთში (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 213. შდრ. ფაღავა, 2013: 324).

ბალასორი ბალასხევია ქართული.

ბალასორი ტოპონიმზე „ზეწოლის“, ტოპონიმის სხვადქცევის ნიმუშია.

ბალასორი ქართული გეოგრაფიული სახელია.

ორთული ადგილი ბაიბურთში.

ორთული დაიშლება: **ორთ-ულ**’ი.

-**ულ** ცნობილი სუფიქსია ქართულში, წარმომავლობის სახელებს აწარმოებს. ორთული იგივეა, რაც ორთელი.

ორთ’ იგივე სახელური ფუძეა **ორთის**’სა (ადგილი კლარჯეთში. იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023:159. **ორთისი** გვხვდება ტაოშიც. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024: 209) და **ოლთის**’ში (ქალაქი და კუთხე ისტორიულ ტაოში) რომ გვხვდება.

შეგნიშნავთ: „დიალექტთა ერთ ნაწილში (უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში) -**ურ** სუფიქსის დართვისას ადგილის სახელებს ჩამოსცილდებათ -**ეთ** და -**ის** მაწარმოებელი: წავკისი - წავკური, კაკაბეთი - კაკაბური...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 397, შენიშვნა 2).

ანალოგიური მდგომარეობაა საანალიზო ტოპონიმთან მიმართებითაც: **ორთისი**>**ორთული**.

ორთული **ორთისი**’დან მოსულის, **ორთისელის** კუთვნილს აღნიშნავს.

ორთული ტოპონიმადქცეული წარმომავლობის სახელია.

იმავე წარმოებისა ჩანს ტოპონიმი **ხოფური** (ხოფ[ა]-ურ’ი).

ხოფური ხოფიდან მოსულის აღმნიშვნელია.

ხოფური ტოპონიმადქცეული წარმომავლობის სახელია.

ჩანს, -ურ//ულ სუფიქსი სპერულ დიალექტშიც აწარმოებდა წარმომავლობის სახელებს.

ტახტა დაიყოფა: **ტახტ**-ა.

ა' სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქციაა, გამოხატოს მქონებლობა, თვისება (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988: 14).

ტახტაში ა' თვისებაზე (უფრო - მსგავსებაზე) მიუთითებს.

რაც შეეხება **ტახტ**'ს:

სულხან-საბა ლექსიკონში შეიტანს **ტახტ**ს, „სკამთან ნახეო“ - გვაგზავნის. სკამი სხვადასხვაა, ერთ-ერთს ლექსიკოგრაფი განმარტავს: „მეფეთა და მღვდელთ მთავართ საჯდომელსა და ზედ გავალაკიანსა საყდარი, ვიეთნი ტახტს უწოდებენ“ (ორბელიანი, 1949).

ტახტა ტახტის თვისების მქონე, ტახტის მსგავსი ადგილია.

ხარსი - გეოგრაფიული პუნქტი ბაიბურთში.

ხარსი სეგმენტირდება: **ხარ** - [ი]ს'ი.

ხარა ანთროპონიმია, დაცულია გვარებში: ხარაძე, ხარაიშვილი, ხარაბაძე... (მაისურაძე, 1990: 226).

შესაძლებელია **ხარსი** (<***ხარისი**) საზღვრულდაკარგული მსაზღვრელი იყოს...

ყველა შემთხვევაში **ხარსი** ქართული გეოგრაფიული სახელია.

ხოფისტა - ადგილი ბაიბურთში.

ხოფისტა<*ხოფისტა<*ხოფისმთა.

ხოფისტა სეგმენტირდება: ხოფ-ის-[მ]თა.

ჩანს, **მთა**>**თა**'ს (სიტყვის თავში მ'ს დაკარგვა) სპერულ დიალექტშიც, როგორც სხვა სამხრულ კილოებში, იყო გავრცელებული.

ხოფისტა ხოფელების მთაა (შდრ.: მაჭარელთა <[მ]აჭარელ[თ]ა [მ]თა).

მონასტერი - ადგილი ბაიბურთში.

სულხან-საბა განმარტავს: „ლათინურია, ქართულად სამზრუნველი ჰქვან, მონაზონთ საკრებულო“ (ორბელიანი, 1949).

მონასტერი ადგილია, სადაც „მონაზონთ საკრებულოა“ გაშენებული.

ლორი დასახლებული პუნქტი ბაიბურთში.

ლორი დასტურდება მეგრულში, ნიშნავს: „მორი, ნახეთქი ხისა, უპირატესად შუაზე გახეთქილი ხე, ან ძალიან სქელი და ფართო ნამორი...“ (ქობალია, 2010).

ლაზურში **ლორი** „ვიწრო და გრძელი მიწის ნაკვეთია“ (თანდილაძე, 2013).

ლორი ქართულშიც იხმარება, განსხვავებული მნიშვნელობით.

სულხან-საბა ლექსიკონში შეიტანს **ლორს**, თუმცა არ განმარტავს, „აპოხტთან ნახეო“ გვარიგებს. აპოხტი კი ასეა განმარტებული: „ყოველთა ხმელთა ხორცთა სახელია. ხოლო განყოფით: შაშხი ეწოდების პოხილსა² ჳმელსა ჳორცთა ოთხ ფერჳთა და ფრინველთასა, ხოლო **ლორი** მეტად პოხილსა ჳორცთასა თევზთასა...“ (ორბელიანი, 1949).

ბაიბურთის **ლორი** ლაზური უნდა იყოს, „ვიწრო და გრძელი მიწის ნაკვეთი“.

ლორი ლაზური გეოგრაფიული სახელია.

პოლორი ადგილი ბაიბურთში.

² „პოხილი მსუქანი, ნივთთ მეტნობა“ (ორბელიანი, 1949).

პოლორი<*პოლური (ო - უ>ო - ო ასიმილაციით)<*პულური (უ - უ>ო - უ დისიმილაციით).

პოლ'ს ლაზები სტამბოლს ეძახიან (თანდილავა, 2013).

პოლური//პულური დაიყოფა: პოლ//პულ - ურ'ი.

-ურ წარმომავლობის სახელების მაწარმოებელი სუფიქსია.

პოლური//პულური სტამბოლური.

თაფხური ადგილი ბაიბურთში.

თაფხური დაიშლება: თაფხ-ურ'ი.

-ურ//ულ ცნობილი სუფიქსია ქართულში.

თაფხ' გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს.

თაფხური იგივეა, რაც თაფხელი, თაფხიდან მოსული.

ზაზა დასახლებული პუნქტი ბაიბურთში.

ზაზა ანთროპონიმია, მამაკაცის სახელი (დლონტი, 1986). დაცულია არაერთ გვარში: ზაზაშვილი, ზაზაძე, ზაზიაშვილი, ზაზიკაშვილი (მაისურაძე, 1990: 67).

ზაზა გვხვდება მეგრულში, ნიშნავს ზანტი, მძიმე. წყლთ გაჟიებული, გაზიზინებული (ქობალია, 2010).

ჩანს, ზაზა წყლიანი ადგილია, წყლით გაჟიებული.

ხიშნი ადგილი სპერში.

ხიშნი დაიყოფა: ხიშ-ნ'ი. ნ' მრავლობითობის სუფიქსია.

ხიშ' სახელური ფუძე მიღებული უნდა იყოს ხიშშ'ისაგან მ'ს დაკარგვით (მშნ (ხიშშნი) თანხმოდანთკომპლექსი გამარტივდა).

ხიშშ'ი, ხიშშია საკუთარი სახელია (დლონტი, 1986).

ხიშნი<*ხიშშნი ხიშშიების, ხიშშიას სახელულის კუთვნილი ადგილია.

რუკაზე დატანილი სამ ათეულზე მეტი გეოგრაფიული სახელი განვიხილეთ სპერიდან და ბაიბურთიდან. საანალიზო ტოპონიმები სტრუქტურულად ახლოს დგას ჭოროხის ხეობის გეოგრაფიულ სახელთა შედგენილობასთან, კერძოდ, დადასტურდა:

- უაფიქსო სახელები: ჭალა, დაბა, ბაღა, ზაზა, სუსხი, მონასტერი, ღორი...

- ოდენსუფიქსური წარმოების სახელები:

-ა: ხიშნა, ხოგა...

-თ: კოპლათი, ტარასთი...

-უთ//ოთ: სუსუთი, ჩიკუთი//ჩიკოთი...

-ოვან: ჩალოვანი,

-ულ//ურ: ორთული, თაფხური, მუხურგული...

- ძე კომპონენტის სახელი: ნახიძე.

-კარ' ფუძიანი სახელები: ჯანკარი, ვანკარი.

-სორ კომპონენტის სახელი: ბალასორი. შევნიშნავთ, რომ ბალასორი ქართული ბალასხევის გასომხურების ცდაა, სხვაგვარად ტოპონიმზე ზეწოლის ნიშნად.

- დადასტურდა კომპოზიტი ტოპონიმი ხოფისთა<*ხოფისთა<*ხოფისმთა.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა გეოგრაფიული სახელი ქართული ან კოლხურია. რაც მნიშვნელოვანი დასტურია იმისა, რომ ისტორიულად სპერი (ბაიბურთითა და ბასიანით) ქართული ქვეყანაა, ხოლო მისი მოსახლეობა - ქართველური ტომი.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები*. თბილისი.
- ალავიძე, მ. (1955). მასალები ლექსიკონისათვის. *ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*. XIII. ქუთაისი.
- ზურაბიშვილი, თ. (1961). ტოპონიმის შესწავლისათვის. III, თბილისი.
- თანდილაშვილი, ა. (2013). *ლაზური ლექსიკონი*. თბილისი.
- თოფურია, ვ., & ქალდანი, მ. (2000). *სვანური ლექსიკონი*. თბილისი.
- ინგოროყვა, პ. (1954). *გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. თბილისი.
- მაისურაძე, ი. (1990). *ქართული გვარ-სახელები*. თბილისი.
- მატიანე. (1977). *ტბეთის სულთა მატიაზე*. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თინა ენუქიძემ. თბილისი.
- მაყაშვილი, ა. (1991). *ბოტანიკური ლექსიკონი*. თბილისი.
- ნიჭარაძე, შ. (1971). *ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა*. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.
- ორბელიანი, ს. ს. (1949). *სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი*. თბილისი.
- ორბელიანი, ს. ს. (2024). *სიტყვის კონა, ლექსიკონი ქართული*. სამტომეული, ტ. II-III. თბილისი.
- სიმფონია. (1956). *ვეფხისტყაოსნის სიმფონია*. შედგენილი აკაკი შანშიძის ხელმძღვანელობით. თბილისი.
- ფაღვა, მ. (2002). რს დაკარგვა სამხრულ კილოებში. *ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III*. ბათუმი.
- ფაღვა, მ. (2009). -უმ/-ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა. *ბსუ შრომები*. XIII. ბათუმი.
- ფაღვა, მ. (2013). *შავშური ჩანაწერები*. თბილისი.
- ფაღვა, მ. (2014). კარ' ფუძიანი ტოპონიმები კლარჯეთში. *XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*. თბილისი.
- ფაღვა, მ., ცინცაძე, მ., & ბარამიძე, მ. (2023). *ქართული ენის კლარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)*. თბილისი.
- ფაღვა, მ., ცინცაძე, მ., & ბარამიძე, მ. (2022). *ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)*. თბილისი.
- ფაღვა, მ., ცინცაძე, მ., & ბარამიძე, მ. (2024). *ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)*. თბილისი.
- ქავთარაძე, ი. (1964). *ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს)*. I. თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*. (1950-1964). ტ. I-VIII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი.
- ქობალია, ა. (2010). *მეგრული ლექსიკონი*. თბილისი.
- ღლონტი, ა. (1986). *ქართველური საკუთარი სახელები*. თბილისი.
- ღლონტი, ა. (1984). *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბილისი.
- შარაშიძე, გ. (1938). *გურული ლექსიკონი*. თბილისი.
- ჭყონია, ი. (1910). *სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები*. სპზ.
- ჯანაშია, ს. (1988). *შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია*. თხზ. ტ. VI. თბილისი.
- ჯანაშია, ს. (1952). *უახლოესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე*. თხზ. ტ. II. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ., კობაიძე, მ., & ბერიძე, მ. (1988). *ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი*. თბილისი.
- Пагирев, Д. Д. (1913). *Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края, издания Кавказского военно-технического отдела*. Кн. 30. Тифлис.

REFERENCES

- abuladze, i. (1973). *dzveli kartuli enis leksik'oni, masalebi* [Dictionary of the Old Georgian Language, Materials]. Tbilisi.
- alavidze, m. (1955). *masalebi lechkhumuri leksik'onisatvis* [Materials for the Lechkhumuri dictionary]. *al. tsuluk'idzis sakhelobis kutais p'edagogiuri inst'it'ut'is shromebi* [Proceedings of the Al. Tsulukidze Kutaisi Pedagogical Institute]. XIII. Kutaisi.
- zurabishvili, t. (1961). *t'op'onimik'is shests'avlisatvis* [For the study of toponymy]. *kess* [ქეხ], III. Tbilisi.
- tandilava, a. (2013). *lazuri leksik'oni* [Laz Dictionary]. Tbilisi.
- topuria, v., & kaldani, m. (2000). *svanuri leksik'oni* [Svan Dictionary]. Tbilisi.
- ingoroqva, p'. (1954). *giorgi merchule, kartveli mts'erale meate sauk'unisa* [Giorgi Merchule, Georgian Writer of the Tenth Century]. Tbilisi.
- maisuradze, i. (1990). *kartuli gvar-sakhelebi* [Georgian surnames]. Tbilisi.
- mat'iane. (1977). *t'betis sulta mat'iane* [The chronicle of the Souls of Lake Tbeti]. Prepared for publication and researched by Tina Enukhidze. Tbilisi.
- maqashvili, a. (1991). *bot'anik'uri leksik'oni* [Botanical Dictionary]. Tbilisi.
- nizharadze, sh. (1971). *kartuli enis ach'aruli dialekt'i, leksik'a* [The Adjarian Dialect of the Georgian Language, a Dictionary]. Batumi: Publishing House „Sabchota achara“.
- orbekiani, s. s. (1949). *sit'qvis k'ona kartuli, romel ars leksik'oni* [Georgian Bunch of Words, a Dictionary]. Tbilisi.
- orbekiani, s. s. (2024). *sit'qvis k'ona, leksik'oni kartuli* [Bunch of Words, Georgian Dictionary]. Three volumes, Vol. II-III. Tbilisi.
- simponia. (1956). *vepkhis-t'qaosnis simponia* [Symphony of the Knight in the Panther Skin]. Composed under the direction of Akaki Shanidze. Tbilisi.
- paghava, m. (2002). *r's dak'argva samkhrul k'iloebshi* [Loss of R in Southern Kilos]. *bsu memed abashidzis sakhelobis sametsniero-k'vleviti tsent'ri, k'rebuli III* [BSU Memed Abashidze Scientific-Research Center, Collection III]. Batumi.
- paghava, m. (2009). *-um/-om supiksi kartul t'op'onimebshi da zogierti geografiuli sakhelis et'imologiis tsda* [-um/-om suffix in Georgian toponyms and an attempt at the etymology of some geographical names]. *bsu shromebi* [BSU papers]. XIII. Batumi.
- paghava, m. (2013). *shavshuri chanats'erebi* [Shavshuri Notes]. Tbilisi.
- paghava, m. (2014). *k'ar' pudziani t'op'onimebi k'larjetshi* [Toponyms with the root 'kar' in Klarjeti]. *XXXIV resp'ublik'uri dialekt'ologiuri sametsniero sesiis masalebi* [Materials of the XXXIV Republican Dialectological Scientific Session]. Tbilisi.
- paghava, m., tsintsadze, m., & baramidze, m. (2023). *kartuli enis k'arjuli dialekt'i (gamok'vleva, masalebi, leksik'oni)* [Klarjuli dialect of the Georgian language]. Tbilisi.
- paghava, m., tsintsadze, m., & baramidze, m. (2022). *kartuli enis shavshuri dialekt'i (gamok'vleva, masalebi, leksik'oni)* [Shavshuri dialect of the Georgian language]. Tbilisi.
- paghava, m., tsintsadze, m., & baramidze, m. (2024). *kartuli enis t'aouri dialekt'i (gamok'vleva, masalebi, leksik'oni)* [Taoist dialect of the Georgian language]. Tbilisi.
- kavtaradze, i. (1964). *kartuli enis ist'oriisatvis (XII-XVIII ss)* [For the History of the Georgian Language (XII-XVIII centuries)]. I. Tbilisi.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni (kegl)* [Explanatory Dictionary of the Georgian Language]. (1950-1964). Vol. I-VIII. Tbilisi.
- kobalia, a. (2010). *megruli leksik'oni* [Mingrelian Dictionary]. Tbilisi.

- ghlont'i, a. (1986). *kartveluri sak'utari sakhelebi* [Georgian Proper Names]. Tbilisi.
- ghlont'i, a. (1984). *kartul k'ilo–tkmata sit'qvis k'ona* [The Bunch of words of Georgian Kilo-Speech]. Tbilisi.
- sharashidze, g. (1938). *guruli leksik'oni* [Gurian Dictionary]. Tbilisi.
- ch'qonia, i. (1910). *sit'qvis k'ona, saba-sulkhan orbelianis da davit chubinashvilis leksik'onebshi gamot'ovebuli sit'qvebi* [The Bunch of Words, Words Omitted from the Dictionaries of Saba-Sulkhan Orbeliani and Davit Chubinashvili]. St. Petersburg.
- janashia, s. (1988). *shavizghvisp'iretis saist'orio geograpia* [Historical Geography of the Black Sea Coast]. Essays. Vol. VI. Tbilisi.
- janashia, s. (1952). *uakhloesi erovnuli tsnoba kartvelta p'irvelsatskhovrisis shesakheb makhlobeli aghmosavletis sinatleze* [The earliest national information about the early settlement of Georgians in the Near East]. Essays. Vol. II. Tbilisi.
- jorbenadze, b., k'obaidze, m., & beridze, m. (1988). *kartuli enis morpemevisa da modaluri element'ebis leksik'oni* [Dictionary of Morphemes and Modal Elements of the Georgian Language]. Tbilisi.
- Pagirev, D. D. (1913). *Alfavitnyj ukazatel' k pjativerstnoj karte Kavkazskogo kraja, izdanija Kavkazskogo voenno-tehnicheskogo otdela* [An alphabetical index to the five-point map of the Caucasus Krai, editions of the Caucasus Military-Topographic Department]. Book 30. Tiflis.